# ინტელექტი - II ტური
# მე-3 კლასი

**ვერბალური ნაწილი:**

1. დაალაგე მოცემული ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვა და აირჩიე წინადადება, რომელშიც ეს სიტყვაა გამოყენებული:რ ი ბ ა წ
   ა) ონისეს წარბი არ შეურხევია.
   ბ) შემოდგომის ფერები ყველაზე ლამაზია.
   გ) მოხუცმა რამდენიმე ყვავილი შეიძინა.
   დ) ბაწარი ძალიან გრძელი აღმოჩნდა.

2. მოცემულია სიტყვათა წყვილი: თვალი : მხედველობა.
   შეარჩიეთ ანალოგიური წყვილი:
   ა) ენა : გემრიელი
   ბ) ყური : ჩუმი
   გ) თოვლი : სიცივე
   დ) ცხვირი : ყნოსვა

3. აირჩიეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ წინადადებას სწორად და აზრიანად შეავსებს: გიორგის ტკბილეული _______________ უყვარს, ამიტომ ______________________ მიირთმევს ხოლმე.
   ა) საერთოდ არ / ხშირად
   ბ) საერთოდ არ / ყოველთვის
   გ) ძალიან / საერთოდ არ
   დ) ძალიან / ხშირად

**ლოგიკა:**

4. ჩამოთვლილთაგან რომელია ზედმეტი?
   ა) ლეკვი ბ) კნუტი გ) ლომი დ) კვიცი

5. მაზეგ იქნება 3 ნოემბერი. რა დღე ყოფილა გუშინ?
   ა) 30 ოქტომბერი ბ) 2 ნოემბერი გ) 31 ოქტომბერი დ) 1 ნოემბერი

6. ზურას, ლაშას და გიორგის ჰყავთ საყვარელი სუპერგმირები, თითოეულს თითო: სუპერმენი, ადამიანი ობობა და რკინის კაცი. ვიცით, რომ
   - გიორგის საყვარელი სუპერგმირი ადამიანი ობობაა
   - ლაშას არ უყვარს სუპერმენი
   რომელია ზურას საყვარელი სუპერგმირი?
   ა) ადამიანი ობობა ბ) სუპერმენი გ) რკინის კაცი დ) ვერ დავადგენთ

**ვიზუალური აღქმა**

7. აირჩიეთ რა უნდა ეხატოს კითხვის ნიშნის ნაცვლად:




ა)  ბ)  გ)  დ)

8. აირჩიეთ რა უნდა ეხატოს კითხვის ნიშნის ნაცვლად:




ა)  ბ)  გ)  დ)

9. რომელი ნაწილია ამოჭრილი სურათიდან?




ა)  ბ)  გ)  დ)